ახალი განთიადი

„,შეღნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„



განთიადი

90-ე წელი თქვენთან ერთად!

2021 წელი 29 სექტემბერი № 9 № 8172

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com





**გაიგე, რა კეთდება შენს ქალაქში** გვ3.

**ოცდარვა წლის წინ** გვ5-6.

*განახლებული სამუსიკო სკოლა* გვ4.



**მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის – თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები** გვ3.



**სამთავისის ქუჩის რეაბილიტაცია** გვ2.

**ხეთაგუროვის ქუჩის ასასვლელ-ის რკინა-ბეტო-ნის საფარი** გვ2.



**მოსახლეობის იმუნიზაციის პროცესი გრძელდება** გვ2.

*მშვიდობისმყოფელი* გვ9.



**საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია სოფელ რენეში** გვ2.

მადლიანი სხვის სიკეთისა! გვ9.



**სასმელი წყალი სოფელ ბარნაბიანთკარს** გვ2.

არაპროვინციული ამბავი ჩვენს ქალაქში გვ8.



**დასასვენებელი სკვერი მიკრორაიონის დასახლებას** გვ2.

**ბორჯომულ-კოჭიდური წლევანდელი ფესტივალის ექო** გვ7.



*აქ ვაზი მცენარეთა დედოფალია...*



“შეიძლება ითქვას, რომ აქ ნახევრად საჰაერო რთველია. მაღალი და დატოტვილი ხის ძირში დარგული, თავის ნებაზე მიშვებული ვაზი გაბედულად მიცოცავს ზემოთ და ხის ფოთლებში ეხვევა. სწორედ ამიტომ ყურძნის მოსაკრეფად ხის კენწეროზე ასვლაა საჭირო.

ამ სამუშაოს შესასრულებლად ხეზე ცილინდრის ფორმის კალათა აქვთ და ტოტზე ხის დიდი კაუჭით კიდებენ.

რაც უფრო მეტი მტევანია ზემოთ, მით უფრო სქელია ვაზის ძირი.

საუკუნოვანი ხეების გარშემო ვაზის გიგანტურ ხვეულებზე თვალწარმტაცი სანახავი ამქვეყნად არაფერია. ისინი ერთი ხიდან მეორეზე გადადის და ქმნის დაკიდებული მტევნების უთვალავ და მოხდენილ გირლანდას.

აქ ვაზი მცენარეთა დედოფალია; ღვინისგან კი ნამდვილი კულტია შექმნილი.

ღვინოს სახლის წინ, უზარმაზარი მწვანე ხეების ძირში ჩაფლულ თიხის ჭურჭელში ინახავენ. იქ ყოველთვის სასიამოვნო ჩრდილია და ოჯახიც სადილისთვის სწორედ იქ იკრიბება. თავმოხდილი ამფორიდან ყველა თავისი სურვილისამებრ იღებს ღვინოს, თან ისე, რომ ადგომაც არ სჭირდებათ.

სწორად ამბობენ, რომ კავკასია ვაზისა და ღვინის სამშობლოა......

კახეთში ბევრ ღვინოს ამზადებენ, ბევრს სვამენ, მაგრამ არ თვრებიან.

*ფრანგი არქეოლოგი, ბარონი დე ბაი, „საქართველოში”, 1898 წ. პარიზი.*

## სასმელი წყალი სოფელ ბარნაბიანთკარს



კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარნაბიანთკარში სასმელი წყლის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოებს მერიის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "გაზტექმშენი" ასრულებს.

პროექტით დაგეგმილია: ჭაბურღილის, წყალსადაწნეო კოშკის, 50 მ3 რეზერვუარის, წყალსადენის მაგისტრალის, შიდაქსელის, საქლორატოროს და სანიტარული ღობის მოწყობა. პროექტის ღირებულება 207 400 ლარია, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

სოფელში შიდა დაქსელვა დღემდე არ არსებობდა, მოსახლეობა ძირითადად ჭებითა და წყაროებით სარგებლობდა. პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება - აღნიშნა იოსებ მარღიშვილმა, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა მეტეხის ადმინისტრაციულ ერთეულში.

## დასასვენებელი სკვერი მიკრორაიონის დასახლებას





კასპში, მიკრორაიონის დასახლებაში, დასასვენებელი სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

ელექტრონულ ტენდერში გმარჯვებული შპს "საგზაო 333", ამჟამად სკვერის ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოებს აწარმოებს.

მიკრორაიონი მჭიდროდ დასახლებული ადგილია, სადაც დასასვენებელი სივრცე არ არსებობდა. კეთილმოწყობილი სკვერი, რომელიც პროექტითაა გათვალისწინებული, მოსახლეობისა და ბავშვების განტვირთვისა და დასვენების ადგილი იქნება.

## საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია სოფელ რენეში

სოფელ ზემო რენეში გრძელდება საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შენობის ორი სართული დასრულებულია, ამჟამად მიმდინარეობს სახურავის მოწყობის, შიდა და გარე ფასადის ლესვითი და სანტექნიკის სამუშაოები.



კოდისწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში 8 სოფელი შედის - მათგან 4 საზღვრისპირა სოფელია, ხოლო 3 კი მაღალმთიანი. 30 წელია, რაც არსებული საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს და ბავშვები მეზობელ სოფლებში დაყავთ.

თანამედროვე სტანდარტებს დაქვემდებარებულ და აღჭურვილ საბავშვო ბაღში 8 სოფლის ბავშვები ივლიან. ბაღში ბავშვებსა და პედაგოგებს ყველა საჭირო პირობები ექნებათ. პროექტის ღირებულება 684 112 ლარია.

გახდით ჩვენი მკითხველი!

## კასპში მოსახლეობის იმუნიზაციის პროცესი გრძელდება



კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში მობილური ჯგუფების მიერ მოსახლეობის ვაქცინაცია მიმდინარეობს. სამ სოფელში: ლამისყანაში, ქვემო ჭალასა და ქვემო გომში მოსახლეობამ როგორც პირველადი, ისე მეორადი აცრა ჩაიტარა. მოსახლეობის იმუნიზაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მობილური ბრიგადები სოფლის ამბულატორიებში ახორციელებენ.

იმუნიზაციის პროცესს შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე სიმონ გულედანი დაესწრო.

მობილობა გაზრდილია და მოსახლეობა აქტიურადაა პროცესში ჩართული. იმუნიზაციის პროცესი გრძელდება იმ სოფლებში, რომლის მოსახლეობამაც თავად გამოთქვა სურვილი.

აცრა ნებაყოფლობითია. დაიცავი საკუთარი თავი და გარშემომყოფი ადამიანების ჯანმრთელობა.

## სამთავისის ქუჩის რეაბილიტაცია



ქალაქ კასპში სამთავისის ქუჩის რკინაბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. გზის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ახალი ჭიათურა" ახორციელებს.

პროექტის სამუშაოები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. მოსახლეობას გზის პრობლემა ათეული წლებია მოუგვარებელი ჰქონდა, გადაადგილება უჭირდათ როგორც ტრანსპორტს, ასევე ფეხით მოსიარულეებს.

პროექტის დასრულება უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას, კეთილმოწყობილი ქუჩა გადაადგილებისას დისკომფორტს აღარ შექმნის.

## ხეთაგუროვის ქუჩის ასასვლელის რკინა-ბეტონის საფარი



ქალაქ კასპში, ე.წ. ქარწისის დასახლებაში ხეთაგუროვის ქუჩის ასასვლელის რკინა-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები დასრულდა. გზის მოწყობის სამუშაოები ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "ახალმა ჭიათურამ" განახორციელა.

პროექტის სამუშაოები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 40 833 ლარით დაფინანსდა.

## გარე გამოყენების ტრენაჟორები



სოფელ მრგვალიჭალაში დასრულდა გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები. პროექტი 2021 წლის "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, ცენტრალური და კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 19 913 ლარის ფარგლებში შპს "დანიქონსტრაქშენმა" განახორციელა. ფიტნესის ტრენაჟორების მოწყობის მიზანი - ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ხელშეწყობაა. გარეგამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები მოწყობილია კავთისხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვემო ჩოჩეთშიც.

გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები სოფელ სასირეთშიც დაიწყო.

# მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის – თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები

## რეგისტრირებული პარტიები:

1. ”მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი”
2. “ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის”
5. “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
8. “დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი”
9. “ლელო”
10. “შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია”
19. “ევროპელი სოციალისტები”
25. გახარია - საქართველოსთვის
36. “გირჩი”
37. “თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)”
41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

## მერობის კანდიდატები

| № სახელი, გვარი | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|
| 2. აკაკი გეჯაძე | “ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის” |
| 5. ნუგზარ ნონიაშვილი | “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” |
| 25. გიორგი ბესტავაშვილი | გახარია - საქართველოსთვის |
| 37. შოთა თხილიშვილი | “თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)” |
| 41. ვახტანგ მაისურაძე | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო |

| მაჟორიტარული ოლქი | წარმდგენი | სახელი, გვარი |
|---|---|---|
| 1. | “ევროპული საქართველო—მოძრაობა თავისუფლებისთვის” | მერაბი ავდიევი |
| 1. | “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” | აკაკი ბერიანიძე |
| 1. | “დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი -საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” | იოსები ხვთისიაშვილი |
| 1. | “ლელო” | სოფიო დიდებელი |
| 1. | გახარია - საქართველოსთვის | თორნიკე ქობულაშვილი |
| 1. | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | ლევან გახელაძე |
| 2. | “ევროპული საქართველო—მოძრაობა თავისუფლებისთვის” | ვალერიან მარქარაშვილი |
| 2. | “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” | ჯაბრაილ ნორუზ ოღლი |
| 2. | “ლელო” | შალვა მესროფაშვილი |
| 2. | გახარია - საქართველოსთვის | გიორგი კელაპტრიშვილი |
| 2. | “თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)” | ირაკლი მილაძე |
| 2. | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | ბეგი თათრიშვილი |
| 3. | “ევროპული საქართველო—მოძრაობა თავისუფლებისთვის” | ვასილ ბეგლარაშვილი |
| 3. | “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” | ალექსანდრე შაქარაშვილი |
| 3. | გახარია - საქართველოსთვის | პაატა დემეტრაშვილი |
| 3. | “გირჩი” | ვლადიმერ გიგოლაშვილი |
| 3. | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | შოთა ბეგლარაშვილი |
| 4. | “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” | მარინე ყურაშვილი |
| 4. | “დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” | ვახტანგ ხათაშვილი |
| 4. | გახარია - საქართველოსთვის | ლევანი ქვრივიშვილი |
| 4. | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | გიორგი მჭედლიშვილი |
| 5. | “ევროპული საქართველო—მოძრაობა თავისუფლებისთვის” | დათო შატაიძე |
| 5. | “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” | ვალერი ბაკიძე |
| 5. | “დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” | თეიმურაზ გაბოძე |
| 5. | გახარია - საქართველოსთვის | თათია ბროლაძე |
| 5. | “თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)” | გენადი გაბოძე |
| 5. | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | ბადრი ჯანიაშვილი |
| 6. | “მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი” | გვანცა ცაბაძე |
| 6. | “ევროპული საქართველო—მოძრაობა თავისუფლებისთვის” | ლელაჩი ზავრადაშვილი |
| 6. | “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” | გიორგი ხარატიშვილი |
| 6. | “დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი -საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” | ლაშა ყაზარაშვილი |
| 6. | “ლელო” | ლუკა ზავრადაშვილი |
| 6 | გახარია - საქართველოსთვის | თეიმურაზ ხიზანაშვილი |
| 6. | “თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)” | ნელი მამასახლისი |
| 6. | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | მაია კაციაშვილი |
| 7. | “ევროპული საქართველო—მოძრაობა თავისუფლებისთვის” | არჩილ ბატკუაშვილი |
| 7. | “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” | ციცინო აბუაშვილი |
| 7 | “დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” | მამუკა მილაძე |
| 7. | “შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია” | ოთარ ქოსაშვილი |
| 7. | გახარია - საქართველოსთვის | მიხეილი მარიდაშვილი |
| 7. | “თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)” | თეონა ნაბახტეველი |
| 7. | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | თამაზ ტატანაშვილი |
| 8. | “ევროპული საქართველო—მოძრაობა თავისუფლებისთვის” | ნიკოლოზი ქოთოლაშვილი |
| 8. | “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” | კახა გახელაძე |
| 8. | “დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი -საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” | მერაბ ჭეხაშვილი |
| 8. | გახარია - საქართველოსთვის | ხათუნა რიჟამაძე |
| 8. | დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა | გელა ქარუმიძე |
| 8. | “თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)” | ვახტანგი პაპუაშვილი |
| 8. | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | ნუკრი მიდელაშვილი |
| 9. | “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” | ზურაბ შუკაკიძე |
| 9. | “დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი -საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” | ჯიმშერ ჯავახი |
| 9. | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | ალვერ შუკაკიძე |
| 10. | “ევროპული საქართველო—მოძრაობა თავისუფლებისთვის” | ლელა დვალიშვილი |
| 10. | “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” | გივი დვალიშვილი |
| 10. | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | ქიტესა ხოდელი |

# გაიგე, რა კეთდება შენს ქალაქში




სახელმწიფო პროგრამის - “განახლებული რეგიონების” ფარგლებში ქალაქ კასპში განხორციელდება 2 ცენტრალური ქუჩის სრული რეაბილიტაცია.



უკვე დასრულდა გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ა(ა)იპ “კასპის კეთილმოწყობის” შენობების რეაბილიტაცია. სამუშაოები გრძელდება კასპის საკრებულოსა და მელიორაციის შენობებზე, კერძო ობიექტებზე.



გარე ფასადის მოწყობის სამუშაოები ჩაუტარდება 5 მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს, გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, კულტურის ცენტრს, 4 სახელმწიფო დაწესებულებას, კასპის რკინიგზის სადგურს, ცენტრში მდებარე აუზს და კერძო ობიექტებს.

განახლდება ქალაქისთვის მნიშვნელოვანი გიორგი სააკაძის სახელობის და მისი მიმდებარე 2 სკვერი.



# განახლებული სამუსიკო სკოლა



დადგა ახალი სასწავლო წელი. შეფერხებით, მაგრამ იგი მაინც მოვიდა. საყოველთაო პანდემვითარება რომ არა, სასწავლო წელი ჩვენთვის უკვე დამდგარი იქნებოდა. არადა, დამდეგი, ნანატრი, სასწავლო წელი ამჟამად ყველაზე გამორჩეული და დიდად სამახსოვრო უნდა ყოფილიყო ჩვენთვის: საქმე ისაა, რომ დასრულებულია სამუსიკო სკოლის მთლიანი შენობის განახლების სამუშაოები (სარემონტო, აღდგენითი, გაფართოების, კეთილმოწყობის და ა. შ.).

იმის შესახებ, ახალ სასწავლო წელს თუ როგორ ეგებება კასპის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური და მოსწავლეთა ერთიანი კოლექტივი, მოთხრობილია ქვემოთ წარმოდგენილ მასალებში. ესაა ერთგვარი შემაჯამებელი ანგარიში ისტორიულ რაკურსში და მის დღევანდელობამდე, დამატებული ქრონიკების სახით.

კასპის სამუსიკო სკოლის ისტორიული რაკურსის თაობაზე (სხვათა შორის, გაისად, 2022 წლის სექტემბერში მისი დაარსებიდან 60 წლისთავი სრულდება!) და, ასევე, დღევანდელობაზე გვესაუბრება მისი დირექტორი შორენა შეშაბერიძე:



— კასპში სამუსიკო სკოლა 1962 წელს გაიხსნა, რისთვისაც იმჟამინდელი ერთ-ერთი საბავშვო ბაღის შენობა შეირჩა, ამიტომ თავდაპირველად სულ რამდენიმე ოთახს მოიცავდა. მოგვიანებით, 1986 წელს, შეემატა ფართი (მიშენების ხარჯზე) და გახდა ისეთი, როგორც დღეს გამოიყურება.

სკოლის პირველი დირექტორი გახლდათ ქ-ნი ნატა ჯიბლაძე. პედაგოგიური კოლექტივი მთლიანად დაკომპლექტდა თბილისიდან კასპში სამუშაოდ შერჩეული ახალგაზრდა მუსიკოსებით. მხოლოდ ერთი გახლდათ ადგილობრივი კადრი — ქ-ნი მანანა სოზიაშვილი. ნიშანდობლივია, რომ იგი დღემდეა ჩვენი კოლექტივის წევრი და განვლილი ათწლეულების პერიოდში მან აღზარდა და მუსიკალურ ხელოვნებას აზიარა არაერთი თაობა. მისი აღზრდილებიდან არიან ისეთებიც, ვინც პროფესიად სწორედ მუსიკოსობა აირჩია. მაგალითად: თამილა რომაშვილი, ვინც წლების განმავლობაში პედაგოგობდა ჩვენივე სკოლაში. ეკა ყაზარაშვილმაც რამდენიმე წელი იმუშავა აქ და შემდეგ გააგრძელა წარმატებული და ნაყოფიერი საქმიანობა პედაგოგიური და შემოქმედებითი კუთხით. აი, ანა კენჭუაშვილმა კი კასპში 7-წლედის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ჯერ ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯთან არსებულ სემინარიაში და შემდეგ — იმავე კოლეჯში, რომელიც დიდი წარმატებით დაასრულა.



ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ სადღეისოდ პედკოლექტივის უმეტესობა სწორედ ამ სკოლის კურსდამთავრებულია. ესენი არიან: ნინო ყოჩიშვილი, ხათუნა ბათილაშვილი, თეა კორინთელი, ლაურა ნონიაშვილი, ანა ნონიაშვილი, ლალი ღვინიაშვილი, ნინო მერებაშვილი. მეამაყება, რომ იგივეს თქმა საკუთარ თავზეც შემიძლია.

ახლა მათ არ იკითხავთ, უამრავ ნიჭიერ ბავშვს, ვინც ჩვენი სკოლის კედლებში დაფრთიანდნენ და დღესაც წარმატებულები არიან სახელოვნებო და მუსიკალურ სფეროში? მათ შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ მსოფლიო დონის მუსიკოსი და საოპერო მომღერალი, ტენორი მიხეილ შეშაბერიძე. მისი პედაგოგი იყო არაჩვეულებრივი აღმზრდელი ქ-ნი ლეილა თათანაშვილი. "მიხო სკოლაში იყო მრავალმხრივი ნიჭიერებით გამორჩეული, სხარტი გონებისა და აზროვნების ბავშვი, გვაკვირვებდა კომუნიკაბელობითა და დაუჯერებელი შრომისმოყვარეობით", — აი, მოკლედ, ასე ახასიათებს ქ-ნი ლეილა თავის სახელოვან შეგირდს.

რა თქმა უნდა, სკოლაში ასწავლიდნენ მამაკაცი პედაგოგებიც. სულ ბოლო პერიოდამდე კასპში პედაგოგობდა თბილისელი მუსიკოსი ზვიად კირვალიძე — 40 წელი ემსახურა ბ-ნი ზვიადი კასპელი მოსწავლე-ახალგაზრდების მუსიკალური განათლების საპატიო საქმეს. რომ არა სადღეისო პანდემვითარება და ამის ფონზე გართულებული მიმოსვლა თბილის-კასპს შორის, იგი აქამდე გააგრძელებდა კასპში პედაგოგობას. იმისთვის კი, რაც განვლილ წლებში გააკეთა, კასპელი გოგო-ბიჭებისა და პედაგოგ-კოლეგებისაგან გულითად მადლობას იმსახურებს.

სიმბოლურია, რომ სკოლაში დღესაც გვყავს წარმატებული საქმიანობით გამორჩეული მამაკაცი-პედაგოგი — გიორგი ხასიშვილი: გაერთიანებული გუნდის ხელმძღვანელი.

შორს წაგვიყვანს სკოლის ძალიან მდიდარი შემოქმედებითი წარსულის შესახებ საუბარი. ამის თაობაზე, უბრალოდ, უნდა გვენდოთ. იმის თქმა კი, ამდაგვარი შემოქმედებითი მუხტი კვლავაც რომ ძლიერია, დანამდვილებით შეიძლება: სხვადასხვა შინაარსისა და მასშტაბის მუსიკალურ ფესტივალებსა და კონკურსებში ჩვენი სკოლის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ. მეტიც, ხშირად იმარჯვებენ და ხდებიან ნომინანტებიც.

დასამალი როდია, რომ ბოლო ათწლეულში მტკივნეულად იჩინა თავი



უამრავმა პრობლემამ, რაც უკავშირდებოდა სკოლის შენობის ხანდაზმულობასა და, აქედან გამომდინარე, სავალალო მდგომარეობას. გადაჭრით დადგა მისი გარემონტების აუცილებლობის საკითხი.

და, აი, 2020 წლის გაზაფხულზე ესოდენ სასიცოცხლო პროცესი დაიწყო. იგი ორ ეტაპად გაიყო და წარმატებით დასრულდა. გვიხარია და ამ სიხარულს ყველას ვუზიარებთ: ახალი სასწავლო წლისათვის კასპის სამუსიკო სკოლაში განახლებული გარემოა.

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.**

## კასპის სამუსიკო სკოლა: 2016—2021 წლები

2016 – სექტემბერი: სკოლას ეწვივნენ საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი "თოფუზის" დამფუძნებლები და ჩაატარეს მასტერკლასი. ერთობლივად შეიქმნა ანიმაციური მინიფილმი "ცირკი".

2017 – მაისი: სკოლას ეწვივნენ ანიმაციური განვითარების ცენტრის ახალგაზრდები. ჩვენმა ბავშვებმა მათი ხელშეწყობით შექმნეს ანიმაცია სახელწოდებით "დირიჟაბლი". მათმა ერთობლივმა ნამუშევარმა გაიმარჯვა ქ. ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე.

— ივნისი: სკოლაში მოეწყო კლასიკური მუსიკის ზეიმი: "მუსიკოსები უკრავენ მომავალი მუსიკოსებისათვის". ის გაიმართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებისა და კასპის სამუსიკო სკოლის ბავშვთა ერთობლივი სასწავლო პროექტის ფარგლებში.

— ივნისი: სკოლის ხატვის წრის მოსწავლეთა ნამუშევრები გამოიფინა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დარბაზში...

2018 – მაისი: გაიმართა პირველკლასელთა კონცერტი "ვარდობისთვე"; საესტრადო განყოფილების მოსწავლემ მიშიკო ჟივიძემ იმღერა სოფელ სამთავისში, ქართული სამოსის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების პროგრამით.

— ივნისი: გაიმართა გამოსაშვები საღამო-კონცერტი; ასევე, ქართული მუსიკის ზეიმი; საესტრადო განყოფილების პირველკლასელები (ლუკა ყარაშვილი და ოთხი მარიამი: აზმაიფარაშვილი, ბექაური, სულაშვილი და რთველიაშვილი) პირველად წარდგნენ საჯაროდ, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საქალაქო ღონისძიებაში; კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო სკოლასთან არსებული ხატვის წრის კურსდამთავრებულთა ნამუშევრების ტრადიციული საგაზაფხულო გამოფენა; საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების კოლექტივების მე-4 ეროვნულ კონკურსში ვერცხლის მედალი დაიმსახურა ჩვენი სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა (ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი).

— ივლისი: ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალში გამოვიდნენ ჩვენი მოსწავლეები: ნინო სისაური, მარიამ სულაშვილი, მიშიკო ჟივიძე, ხატია მამულაშვილი (პედაგოგები: ლია თათანაშვილი, ნინო ყოჩიშვილი, ნინო ხუციშვილი და ლაურა ნონიაშვილი). ფესტივალის გამარჯვებული გახდა კასპის ბავშვთა გუნდი.

— დეკემბერი: სკოლის მოსწავლეები — მარიამ სულაშვილი და ანანო იმერლიშვილი




მონაწილეობდნენ ქ. თბილისის კომპოზიტორთა სახლში ჩატარებულ საშობაო კონცერტში (პედაგოგები — ნინო ყოჩიშვილი და სვეტა ლომსაძე).

2019 – მარტი: სკოლის გაერთიანებული გუნდი მონაწილეობდა კლასიკური მუსიკის მე-12 ეროვნულ საკონკურსო ფესტივალში "მომავლის ვარსკვლავები". რეგიონული ტური გაიმართა ქ. გორში. აქ გამარჯვების შემდეგ, ჩვენი სკოლის წარმომადგენლებმა, პატივგების ნიშნად, გახსნეს გალაკონცერტი ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრალურ დარბაზში.

— აპრილი: კონკურსის "მომავლის ვარსკვლავები" ორგანიზატორებმა გამოუშვეს 10-წლისთავის საიუბილეო წიგნი. მასში მოხვდნენ ჩვენი სკოლის წარჩინებული მოსწავლეები: თეკლა გვარამაძე, ნინო სისაური, ანანო იმერლიშვილი. სპეციალური სიგელით დაჯილდოვდა სკოლის დირექტორი შორენა შეშაბერიძე.

— მაისი: სოფელ ერთაწმინდაში ქართული სამოსის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში თავიანთი ნამუშევრებით წარდ

გაგრძელება გვ9.



აფციაური შმაგი
1974 წლის 12 იანვარი - 1992 წლის მარტი. (მეტეხის რკინიგზის სადგურის დასახლება).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

აფხაზეთის ომის (1992-1993 წწ) შედეგად დაიღუპა 20,000-დან 30,000-მდე ეთნიკური ქართველი, ხოლო 250,000-ზე მეტი ადამიანი აფხაზეთიდან ლტოლვილი გახდა. კონფლიქტის განმავლობაში ჩადენილია უამრავი სამხედრო დანაშაული, მათ შორის ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. მოკლული იქნა 2,500-დან 4,000-მდე აფხაზი, 20,000 აფხაზი კი ლტოლვილად იქცა.

პოსტსაბჭოური საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი. ომმა და ომის შემდგომმა უწესრიგო შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად გააპარტახა. დღესაც აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოსგან დე ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე. როგორც თვით აფხაზები აცხადებენ, რეგიონი რუსეთის ფედერაციის დე ფაქტო პროტექტორატია.



ლაფერაშვილი კახა
1973 წლის 8 იანვარი (სოფ. ბარნაბიანთკარი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 2 ოქტომბერი (აფხაზეთი, ქ. გაგრა).
მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



ბახტაძე ბადრი
1975 წლის 11 მაისი – 1993 წლის 26 ივნისი. ქ. კასპში არის ბადრი ბახტაძის ქუჩა.
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ბეინაშვილი გელა
1972 წლის 29 სექტემბერი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი) – 1993 წლის 9 მარტი (აფხაზეთი, ლაბრა).



ბეინაშვილი მამუკა
1973 წლის 7 სექტემბერი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი) – 1993 წლის პირველი სექტემბერი (აფხაზეთი, ეშერა).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ბროლაძე მამუკა
1972 წლის 22 თებერვალი (სოფ. ახალქალაქი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 13 აპრილი (დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას).

გეთაშვილი მერაბი
1970 წლის 3 სექტემბერი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი).
1993 წლის პირველი მარტიდან მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში. მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



დეისაძე ვაჟა
1964 წლის 15 ივნისი (სოფ. ქვემო გომი, კასპის რაიონი).
მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



ედიშერაშვილი ზურაბი
1955 წლის 2 ოქტომბერი (სოფ. ახალქალაქი, კასპის რაიონი) – 1992 წლის პირველი სექტემბერი (აფხაზეთი, ეშერა).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



თათარაშვილი გელა
1974 წლის 17 ივლისი (სოფ. ოკამი, კასპის რაიონი) – 1993 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).



თათრიშვილი გოჩა
1962 წლის 27 სექტემბერი (ქ. კასპი) – 1993 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.



ირემაშვილი გელა
1970 წლის 23 სექტემბერი (სოფ. იდლეთი, კასპის რაიონი) – 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ირემაშვილი გიორგი
1962 წელი (სოფ. იდლეთი, კასპის რაიონი) – 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.
ქ. თბილისში არის გიორგი ირემაშვილის ქუჩა.



კალატოზიშვილი მორისი
1967 წელი (სოფ. მეტეხი, კასპის რაიონი) – 1993 წლის 28 აპრილი (დაკრძალულია მშობლიურ სოფელში).



კაპანაძე გიორგი
1972 წლის 3 ნოემბერი (ქ. კასპი) – 1993 წლის 25 ნოემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).



კობაური ვასილი
1962 წელი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი).
მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



ლაფერაშვილი ზაქარია
1958 წლის 30 სექტემბერი (სოფ. ბარნაბიანთკარი, კასპის რაიონი) – 1993 წლის 9 იანვარი (აფხაზეთი, ქ. ოჩამჩირე).



ლაცაბიძე გაგი
1964 წლის პირველი ნოემბერი (სოფ. კავთისხევი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 27 დეკემბერი (აფხაზეთი, მერკულა).
დაჯილდოებულია მედლით “მხედრული მამაცობისათვის”. სოფელში არის მისი სახელობის ქუჩა



მამულაშვილი ოთარი
1973 წლის 17 იანვარი (სოფ. სასირეთი, კასპის რაიონი) – 1991 წლის 22 დეკემბერი).




# მამულოთ, სიცოცხლეთ!


მანჯიკაშვილი ზურაბი
1972 წლის 30 აპრილი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი) – 1992 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ტამიში).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.


მარიდაშვილი ზაზა
1973 წლის 23 ივლისი (სოფ. ქვემო გომი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 10 დეკემბერი (აფხაზეთი, ეშერა).


მიქუტიშვილი ჯუმბერი
1947 წლის 18 აპრილი (სოფ. ხოვლე, კასპის რაიონი) – 1993 წლის 13 თებერვალი (ლაბრა).


მუხათგვერდელი მორისი
1972 წლის 26 მარტი (სოფ. აღაიანი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ტამიში). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.


ნაცვლიშვილი ზურაბი
1973 წლის 25 თებერვალი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი) – 1993 წლის 18 აგვისტო (აფხაზეთი).


ოთარაშვილი ბესიკი
1969 წლის 22 თებერვალი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი) – 1992 წლის 18 ივლისი (სამაჩაბლო).


პაპუაშვილი ვახტანგი
1973 წლის 19 სექტემბერი (სოფ. იგოეთი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 21 აგვისტო (აფხაზეთი, კელასური).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.




ფეიქრიშვილი ალექსანდრე
1954 წლის პირველი ნოემბერი (სოფ. ზემო ხანდაკი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 18 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.


ქართველიშვილი რომანი
1950 წელი (სოფ, ლამისყანა, კასპის რაიონი) – 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი ქ. სოხუმი).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.
ქ. თბილისში არის რომან ქართველიშვილის ქუჩა.


ქსოვრელი სერგო
1959 წლის 13 მარტი (სოფ. იდლეთი, კასპის რაიონი) – 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.
ქ. თბილისში არის სერგო ქსოვრელის ქუჩა.


შერმადინი შერმადინ
1975 წლის პირველი იანვარი (სოფ. თეზი, კასპის რაიონი) – 1992 წლის 4 ივლისი (აფხაზეთი).


ცუცუნაშვილი კობა
1960 წლის 9 ნოემბერი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი).
მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად).


ცქვიტიშვილი ტარიელი (ბადრი)
1967 წლის 27 აგვისტო (ქ. კასპი) – 1992 წლის პირველი სექტემბერი (აფხაზეთი, ეშერა).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ხაბალაშვილი მერაბი
1956 წლის 28 მარტი (ქ. კასპი) – 1993 წლის 9 ნოემბერი (სამეგრელო, ქ. ზუგდიდი).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.


ხეტეშვილი ივანე
1961 წლის 11 თებერვალი (სოფ. თეზი, კასპის რაიონი) – 1993 წლის 23 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.


ხეჩიკაშვილი კობა
1973 წლის 21 აგვისტო (სოფ. დოესი, კასპის რაიონი) – 1993 წლის 21 სექტემბერი (აფხაზეთი).


ხოკრიშვილი ნიკოლოზი
1961 წლის 14 მარტი (ქ. კასპი) – 1993 წლის 22 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. ქ. კასპში არის ნიკოლოზ ხოკრიშვილის ქუჩა.


ჯაბაური დავითი
1969 წლის 24 ივლისი (ქ. კასპი) – 1993 წლის პირველი მარტი (აფხაზეთი, ლაბრა).

სამბო

# ვინ მოჩანს ოლიმპიადის ჰორიზონტზე?

ჩვენებური ბექა ბერძენიშვილი საქართველოს სამბოს ნაკრებში გამოკვეთილი და უპირობო ლიდერია (მძიმე წონაში). სტაბილურიცაა, მუდმივად მედალზეა გამთვლელი. ევროპული ჩემპიონატებისა უკვე 3 ოქრო მოინადავლა, სულ ბოლოს ეს მოახერხა 2021 წლის მაისში, პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში.

აი, მსოფლიო პირველობების კვარცხლბეკზე სხვებზე მეტად ჯერ ვერ ამაღლდა, თუმცა მორეც იყო და მესამეც. საქმე ისაა, რომ პირველი ადგილი რუს მეტოქეებს აქვთ დასაკუთრებული. ბექა კი ერთია, ვინც მათ ჩამოგდებას ცდილობს. მან ნავსი ვერც წლევანდელ 22 აგვისტოს გატეხა რუსეთის ძველ დედაქალაქში — სანკტ-პეტერბურგში, სადაც, ამჯერად, სამბოს "ფიას" პრეზიდენტის თასი გათამაშდა. ნევისპირა ქალაქის ხალიჩაზე ისევ სლავთა ფავორიტმა, არტიომ ოსიპენკომ დაინარჩუნა ჩემპიონობა. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ქართველი ისევ გაგვიწბილდა, რადგანაც ეს რუსი მას ბედისწერად გადაექცა, 2014 წლიდან მოყოლებული სულაც უძლეველია, უკვე მსოფლიო 6-გზის ჩემპიონია.

წელს "ტოკიო — 2020" ოლიმპიური თამაშების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ჭიდაობა სამბო ოფიციალურად შეიტანეს 2024 წელს ქ. პარიზში გასამართავი ოლიმპიადის პროგრამაში. ქართველი სამბისტები 3 წლის მერე საფრანგეთში აუცილებლად მიიაზრებიან ოლიმპიური ნებისმიერი სინჯის მედლების რეალურ კანდიდატებად (როგორც აქამდე, ტრადიციულად, ძიუდოისტები).

ვფიქრობთ, 31 წლის ბექა ბერძენიშვილი, მანამდე შეინარჩუნებს აქტიურ სპორტულ ფორმას და პირველად ვიხილავთ ოლიმპიურ ხალიჩაზე. იქ სამბოშიც ყველაზე პრესტიჟული იქნება პლანეტის მძიმეწონოსანი სამბოელების ჯახი. საქმე ისაა, რომ მოდევნებული 1973 წლიდან (პირველად ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში), მძიმე წონაში მხოლოდ რუსები იმარჯვებენ და მათ მხოლოდ 4-ჯერ სძლიეს ქართველებმა: 1990 წელს — მალხაზ ბერუაშვილმა, 1991-ში — ვალერი პარუნაშვილმა, 1996–97-ში — დავით ხახალეიშვილმა, ხოლო თითოთითოჯერ — მონღოლმა, ბულგარელმა და ბელარუსმა სამბოელებმა.



ხელოვნების მერიდიანზე

# ბორჯომულ-კოვიდური წლევანდელი ფესტივალის ექო

კასპის სამუსიკო სკოლის წარმომადგენლები ჩვეულნი არიან წარმატებებს. ჩვენი პედაგოგები და მოსწავლეები სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალსა და კონკურსში მრავალგზის გამხდარან ლაურეატები და დიპლომანტები. აი, მოკლედ გავიხსენოთ მათი გამოსვლების მასშტაბები და დონე:

— საბავშვო და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნული კონკურსი;

—კლასიკური მუსიკის ფესტივალი "მომავლის ვარსკვლავები";

— თ. ამირეჯიბის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი;

— ეროვნული მუსიკალური ფესტივალები ქ. ბორჯომში.

დიახ, ამჯერად სწორედ ამ უკანასკნელი ფესტივალის თაობაზე გიამბობთ. ზუსტად 10 წელია, რაც ბორჯომული მუსიკალური ფესტივალი იმართება. ტრადიციულად, მისი დამფუძნებელი და ორგანიზატორია ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირი "ჰარმონია" და მისი ხელმძღვანელი ქ-ნი ციცი ბიჭიკაშვილი (ევგ. მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სასწავლებლის პედაგოგი).

ბორჯომულ ფესტივალში, რომელსაც ჩატარების წლების მიხედვით მიეკუთვნება რიგითობა, როგორც წესი, მონაწილეობენ 7-8 ქვეყნის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლები.

კასპის სამუსიკო სკოლას მასში გამოსვლის პატივი 6 წლის წინ ხვდა წილად. მას შემდეგ უცვლელი მონაწილეები ვართ.

2021 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩატარდა რიგით მე-10, ანუ, საიუბილეო ფესტივალი "ბორჯომი — 2021".




ჩვენი სკოლის სახელი და პრესტიჟი ამჯერადაც წარმატებით წარმოაჩინეს ბავშვთა გაერთიანებული გუნდის წევრებმა (ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი) და ნორჩმა პიანისტებმა: გვანცა ილურიძემ, მარიამ ჯავრიშვილმა, ხატია მამაცაშვილმა და მარიამ სულაშვილმა (პედაგოგები შორენა შემაბერიძე და ნინო ყოჩიშვილი).

ჩვენმა მოსწავლეებმა, ტრადიციულად, ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურეს. დასანანია, რომ კოვიდპანდემიის რეგულაციების გამო დაჯილდოების ცერემონიალი ვერ შედგა. თუმცა, ვიმედოვნებთ, ჯილდოები კასპამდე მოაღწევს. გვჯერა ისიც, რომ უახლოეს პერიოდში კოვიდვითარება გამოსწორდება და უკვე გაისად ქ. ბორჯომს ისევ ვეწვევით.

*ლალი ღვინიაშვილი, კასპის სამუსიკო სკოლის პედაგოგი.*

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.**

ფეხბურთი

# ეთერ სულაშვილი ნაკრებში გამოიძახეს

ამ შემოდგომაზე საქართველოს ქალ-ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2023 წლის პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს მართავს. უკვე უნდა ეთამაშა სექტემბრის დასაწყისში, მაგრამ პირველი საშინაო შეხვედრა, ირლანდიის გუნდთან, არ შედგა, ორმხრივი მოლაპარაკებით საგაისოდ გადაიდო (კოვიდპანდემიური გართულებული სიტუაციიდან გამომდინარე). აი, შუა თვეში კი მეორე კალენდარული თამაში სტუმრად მოუწია შვედეთში...

კასპის ფეხბურთის ისტორიაში ფიქსირდება იშვიათი ფაქტი: კასპელი ფეხბურთელი ეთერ სულაშვილი მეორეა, ვინც ნაკრების სახელით ითამაშებს (გასული საუკუნის ბოლოს ასეთი გვყავდა ეკა შეშაბერიძე — ნაკრების კაპიტანი).

ეთერი "გორი იუნაიტედის" ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე თამაშობს და საკმაოდ შედეგიანად. შარშანდელ საფეხბურთო სეზონში თავი სწორედაც გოლების გატანის ალღოთი გამოიჩინა: მან პირად ანგარიშზე 30 გოლი მიითვალა. იყოჩაღა 16-წლიან გოგონათა ასაკობრივ ნაკრებშიც.

ამიტომ იყო, რომ 2020 წლის 27 ოქტომბერს შედგა მისი დებიუტი ეროვნულ გუნდში. ეს მოხდა "ევრო — 2022"-ის შესარჩევ შეხვედრაში, თბილისის მესხის სახელობის სტადიონზე, ისრაელის ნაკრების წინააღმდეგ, როცა ეთერს დიდი ნდობა გამოუცხადეს და გუნდის მწვრთნელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში მოედანზე გაიყვანეს. იმის გამო, რომ თამაში მისთვის უჩვეულო პოზიციაზე დაავალეს და არა ცენტრში, რამდენიმე ხელსაყრელი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა...



ვნახოთ, რა მოხდება ახალ ჯერზე, ახლო მომავლის მატჩებში. იმედია, ჩვენებური გოლეადორი ქალიშვილი სანაკრებო ანგარიშსაც გახსნის.

რაც შეეხება ეთერის წლევანდელ საკლუბო გამოსვლას, მისი "გორი იუნაიტედი" ჯერჯერობით მე-6 ადგილზეა გათამაშების ცხრილში, სულ გატანილი აქვს 15 ბურთი, საიდანაც 8 ეთერს ეკუთვნის. აი, საქართველოს თასის გათამაშების ერთ მატჩში კი სულაც რეკორდი დააფიქსირა: 12 გოლი!

სპორტ INFO

სასკოლო სპორტი

# დავით დალაქიშვილი უფროსი მასწავლებელია

თითქმის 30 წელია, რაც დავით დალაქიშვილი მწვრთნელობს კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებაში. თვითონ წარმატებულმა კარატისტმა როგორც კი აქტიურ გამოსვლას თავი დაანება, საბრძოლო კლუბი "ხვადი" შექმნა და თანქალაქელი გოგო-ბიჭების კერპი გახდა, არაერთ შეგირდს გაამარჯვებინა სხვადასხვა დონის შეჯიბრებაში, როგორც კასპში, ისე თბილისსა თუ უცხოეთის ქვეყნებში.

დავით დალაქიშვილმა წლევანდელ აგვისტოში წარმატებით გაიარა საქართველოს საბავშვო და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ ორგანიზებული სატრენინგო კურსი, სასკოლო ლიგების პროგრამის ფარგლებში "მხიარული თამაშები".

აღნიშნულის შედეგად იგი დაჯილდოვდა ფედერაციისავე სერტიფიკატით


Children's and School Sport National Federation of Georgia
სერტიფიკატი
გადაეცა
დავით დალაქიშვილს

(პრეზიდენტი — კონსტანტინე ამირაჯიბი).

და, აი, ცინცხალი ცნობა: ქ. კასპის №3 საჯარო სკოლაში ახლახან მიიღეს შეტყობინება, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის პედაგოგს — დავით დალაქიშვილს მიენიჭა სტატუსი "უფროსი მასწავლებელი".

## სექტემბერი: სახელმძღვანელო და ავტორი

# არაპროვინციული ამბავი ჩვენს ქალაქში

საუკუნეთა განმავლობაში ნებისმიერ წიგნიერ ადამიანს ამოძრავებს მეტი და მეტი ცოდნის დაუფლებისა და სრულყოფის სურვილი, მშობლიურის შემდგომ სხვა ენების შესწავლის დაუოკებელი წადილი. საამისო მცდელობისას ის ნაცად თუ უცნობ ხერხებს, მეთოდებს მიმართავს, ანუ ეყრდნობა განსწავლულ კორიფეთა გამოცდილებას და ეცნობა მათ რჩევა-დარიგებებს, მეთოდიკურ და სამეცნიერო-პედაგოგიურ ნაშრომებს, იყენებს ახალ-ახალ სახელმძღვანელოებს. ამასთან, აანალიზებს, აყალიბებს საკუთარ დაკვირვებებს, რასაც პირადულ ქურაში “ხარშავს” და თვითონ ხდება პედაგოგების და ლექტორების საქმეთა მიმდევარი, გამგრძელებელი.

ასეა დღესაც, როცა იწერება და იქმნება სხვადასხვა ენობრივი


UNIVERSITY of CAMBRIDGE
ESOL Examinations
English for Speakers of Other Languages

TEACHING KNOWLEDGE TEST

This is to certify that
NINO KARABAKI
has been awarded
Band 3
in
TKT Module 3
Managing the teaching and learning process

დისციპლინის სახელმძღვანელოები.

მაგრამ ვინ არიან ისინი — ახალი წიგნების ახალი ავტორები, რამდენად წონადი და კვალიფიციურია მათი ნაშრომები, აწ ბეჭდური სახით შეთავაზებული მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სტუდენტებისათვის, უცხო ენების შესწავლის მსურველთათვის?


Tbilisi State University
English Teachers' Association of Georgia

Certificate

is hereby granted to
Nino Karabaki
in recognition of attendance at the
11th National Conference of the English Teachers' Association of Georgia "Project Based Learning"
Tbilisi, Georgia, February 25, 2018

Rusudan Tkemaladze
Director ETAG

Manana Rusieshvili
President ETAG

ასეთი ავტორები ბევრგან არიან — სამეცნიერო დიდ ცენტრებსა და რეიტინგულ უმაღლეს სასწავლებლებში, დედაქალაქებისა თუ სხვა ქალაქების სკოლებში...

“ახალმა განთიადმა” გადაწყვიტა, წარმოგიდგინოთ ერთი ასეთი ავტორი, რომელიც გატაცებით, ენერგიულად პედაგოგობს საჩვენო მასშტაბით პროვინციულად მიჩნეულ კასპში...

თუმცა, ამბავი, რომელსაც აქაური გაზეთი ქვემოთ გთავაზობთ, სულაც არ გახლავთ პროვინციული, ხოლო სახელმძღვანელო, რომლის შესაქმნელად ავტორმა ტიტანური შრომა გასწია, ნამდვილად რეზონანსულია საერთაშორისო დონეზე.

***

ნინო ქარაბაკი ინგლისური ენის სპეციალისტია — პედაგოგი, მთარგმნელი, ლექსიკოლოგი და, აგერ, წლევანდლიდან სახელმძღვანელოს ახალბედა ავტორიც!

მან ორიგინალში ათასობით ეგზემპლარი წიგნი წაიკითხა, რის დროსაც ოქსფორდის ლექსიკონიდან ამოწერილი უცხოური სიტყვებით, ლექსიკური ფრაზებით, იდიომებითა და ფრაზალური ზმნებით შეავსო 100 (ასი!) 100-ფურცლიანი რვეული. მათში საკუთარი ხელით ჩაწერილი სიტყვების რაოდენობა 5 მილიონამდეა და, თანაც, ყველა დაათარიღა.

ესოდენ წარმოუდგენელ გარჯილობას 10 წელი შეახარჯა აქ — ჩვენთან, კასპში, კოსტავას ქუჩის ერთ-ერთი 60-ბინიანი სახლის მე-2 სართულზე მოწყობილ “ცოდნის ბუდეში”, რომელსაც თვითონ, სასკოლო-სასწავლო ანალოგიის გავლენით, უწოდებს “ჩემი საკლასო ოთახი”.


IRCEELT 2019
9th International Research Conference on Education, Language and Literature

CERTIFICATE

presented to
Nino Karabaki

for attending the 9th International Research Conference on Education, Language and Literature (IRCEELT 2019) concurrent sessions and workshops:

ნინო ქარაბაკი დარწმუნებით აცხადებს, რომ ინგლისური ლექსიკონი ზეპირად იცის. სადღეისოდ სალექსიკონო ტერმინები საკომპიუტერო ბაზაში შეჰყავს ისე, რომ მნიშვნელობებს გვერდით ზეპირადვე უწერს და ლექსიკონურს შემდეგ ადარებს. ამგვარად უკვე 2,5 მილიონი სიტყვა შეკრიბა და ჩამობეჭდა.

მისმა შეუდრეკელმა და მტკიცე გადაწყვეტილებამ — გასულიყო საერთაშორისო დონის გამოცდებზე და მოეპოვებინა სათანადო სერტიფიკატები — სასურველი შედეგი გამოიღო,



რადგანაც ღრმად იყო დარწმუნებული მისეული მეთოდის სისწორეში, ორიგინალობაში და რითაც ითვალისწინებდა ლოგიკურ-ანალიტიკური მიდგომის ჩამოყალიბებას ინგლისური გრამატიკის მიმართ და მისსავე მნიშვნელობას ენის შესწავლაში.

სწორი მეთოდოლოგიის სწავლების შედეგად სულ უფრო იმატა მისი მოსწავლეების რაოდენობამ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ისინი საუკეთესოდ წარმოჩნდნენ რესპუბლიკაშიც, არათუ რაიონში.

ნინო ქარაბაკი 2011 წელს გახდა ბრიტანეთის საკონსულოსთან არსებული საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის (ETAG) წევრი. საამისოდ 11-წლიანი “ბრძოლა” დასჭირდა, ანუ 2000 წლიდან, რაც პირველი კერძო მოსწავლე აიყვანა.

მისმა წევრობამ არა მარტო დიდი სტიმული მისცა, არამედ საკუთარი თავიც ახლებურად დაანახვა. მისთვის ყველაზე მიმზიდველი კი ETAG-ის ბიბლიოთეკა აღმოჩნდა, რომლის 2000-მდე წიგნადი ფონდი (მხატვრული ლიტერატურა, ენის სწავლების მეთოდოლოგია, საერთაშორისო ტესტირებისათვის საჭირო ლიტმასალა) ლამის 3-ჯერ გადაიკითხა. ამიტომ იყო, რომ ასოციაციის ხელმძღვანელობამ მას შეარქვა “წიგნის ჭია” “Book-Worm” და რამდენჯერმე მიიწვია ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე და შესთავაზა სათანადო გამოცდების ჩაბარება საერთაშორისო მასწავლებლის სერტიფიკატების მოსაპოვებლად.

და, გვერწმუნეთ, ნინო ქარაბაკმა ეს შეძლო. როგორ? აი, თვითონ როგორც განგვიმარტა:

— “საერთაშორისო TkT ” მოიცავს 3 ტესტს: პირველი — ინგლისური ენა და მისი სწავლების საფუძვლები, მეორე — გაკვეთილის დაგეგმვა და ენის სწავლებისათვის რესურსების გამოყენება, მესამე — ენის სწავლისა და სწავლების მენეჯმენტი.

ტესტების ჩაბარება ნებადართულია ცალ-ცალკე, 3-თვიანი შუალედებით. მათი სირთულიდან გამომდინარე, აპლიკანტების უმეტესობა ძნელად ახერხებს ტესტის ჩაბარებას მინიმალურ ქულაზეც კი პირველი გასვლით. მე კი მოვახერხე სამივე ტესტის ჩაბარება ... ერთ დღეში და 2013 წლის 10 იანვარს კემბრიჯის უნივერსიტეტიდან მივიღე უმაღლესი შეფასება.




ფიქრობთ, მიღწეულს დასჯერდა? არა! ამჯერად გადაწყვეტილი აქვს CELTA-ს საერთაშორისო სერტიფიკატის აღება. ის კი მხოლოდ მათზე გაიცემა, ვინც შეძლებს ლონდონის საერთაშორისო სახლში მსოფლიოში მოზრდილთა ინგლისური ენის სწავლების უფლების მოსაპოვებლად ურთულესი გამოცდის ჩაბარებას.

კურსზე მოსახვედრად მან უკვე ჩააბარა 3 ტესტი ქ. თბილისში, შემდეგ წერითი დავალება გაგზავნა ლონდონის საერთაშორისო სახლში.

ამის შემდეგ გაუჩნდა ინტერვიუს საშუალება მის დეკანთან, მისტერ რასელთან და იგი წარმატებით დასრულდა.

... მაგრამ არა, საბოლოო მიზანი დროებით თვითონვე შეაჩერა, რადგანაც ინტერვიუს დროს დაებადა ახალი იდეა — ჯერ დაებეჭდა სახელმძღვანელო, რომელიც 2010 წელს შექმნა ერთი მიზნით: მისი მეთოდით ესწავლათ არა მარტო “ქარაბაკის საკლასო ოთახში” მსხდომ მოსწავლეებს, არამედ გაცილებით ბევრს, თანაც ყველგან.

ქართველმა პედაგოგმა ჩანაფიქრი გაანდო იმჟამად ETAG-ში მყოფ ამერიკელ პროფესორს ანდრე ბოიარნს. მან ახალბედა კოლეგის მეთოდური ნაშრომი შეაფასა არა მარტო როგორც ლოგიკურ-ანალიტიკურად, არამედ სამეცნიეროდ მოაზრებული.

ასე და ამგვარად, CELTA დროებით მოიცდის, ვინაიდან მისი ჩაბარება ნებისმიერ ასაკში შეიძლება, თანაც, წიგნის ავტორის პოზიციიდან უფრო თამამად წარდგება მასზე.

ნინო ქარაბაკს მიაჩნია, რომ სიახლე ყოველთვისაა, რადგანაც სიახლეა მუდმივად ცოდნის განახლება, რაც ნამდვილად არ ეზარება დღენიადაგ კითხვითა და წერით!

და, აგერ, სასურველი შედეგი: 2021 წელს გამოქვეყნდა ნინო ქარაბაკის სახელმძღვანელო “მოკლე კურსი ინგლისური ენის გრამატიკისადმი ლოგიკურ-ანალიტიკური მიდგომის ჩამოყალიბებაში და მისი მნიშვნელობა ენის შესწავლისათვის”. (ჯერჯერობით სასიგნალო ეგზემპლარები).

მის გამოსაცემად თითქმის 10-წლიანი ყოყმანის შემდეგ მისცა თავს უფლება და საამისო მოტივი რამდენიმე გარემოებამ განუმტკიცა. მაგალითად, მისი მოსწავლეების რაოდენობამ 2200-ს გადააჭარბა და ა.შ; მოიწონეს საქართველოშიც.

უდიდესი სტიმული გამოდგა ბ-ნი გელა ჩარკვიანის სიტყვები: “მე თქვენ გაქებთ” და შეფასება: “ფრიად საჭირო სახელმძღვანელოა!”

წიგნი მხოლოდ ინგლისურ ენაზეა. მართალია, თავდაპირველად, 10 წლის წინ დაიწერა ინგლისურ-ქართულად, მაგრამ ავტორმა შემდეგ შეცვალა, რადგანაც, მისი აზრით, იგი გამოადგება არა მარტო ქართველ, არამედ ბევრი სხვა ეროვნების სტუდენტ-ახალგაზრდობასა და ნებისმიერ მსურველს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ახალგაზრდები ამ სახელმძღვანელოს მეშვეობით შეძლებენ არა მარტო ენის პროდუქციას (რაც გულისხმობს უმოკლეს დროში ინგლისურად წერასა და ლაპარაკს), არამედ ინგლისურ ენაზე აკადემიური წერის უნარის ჩამოყალიბებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია პროფესიული წინსვლისათვის და რის დეფიციტსაც განიცდიან სტუდენტები, რომელთათვის ინგლისური არაა მშობლიური ენა.

(“ახ.განთიადის” კორ.)

## კასპის სამუსიკო სკოლა: 2016—2021 წლები

დასასრული. დასაწყისი იხ. გვ4.

გნენ ხატვისა და ხელოვნების წრის მოსწავლეები (ხელმძღვანელები ნელი გოგოლაძე და ნინო გურწიშვილი); ჩატარდა პირველკლასელთა კონცერტი.

— ივნისი: გაიმართა ქართული მუსიკის საღამო.

— ივლისი: ბორჯომში მიმდინარე კლასიკური მუსიკისა და ფოლკლორის პირველ საერთაშორისო კონკურსში სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა წარმატებით გაიარა ორი ტური და მიიღო გალაკონცერტში მონაწილეობის უფლება.

— დეკემბერი: გაიმართა სკოლის მოსწავლეთა “ეტიუდების კონკურსი”; ჩატარდა საახალწლო-საშობაო კონცერტი.

— 2020-21 წლები: სკოლაში, რომელიც 1962 წლის სექტემბერში გაიხსნა, ხოლო ამჟამად მის სამუსიკო, სახელოვნებო და სამხატვრო ჯგუფებში 300-ზე მეტი ბავშვი ირიცხება, მეცადინეობები წარიმართა ონლაინრეჟიმის პირობებში, “კოვიდ–19”-ის უსაფრთხოების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.**

გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,,

გახდით ჩვენი მკითხველი!

## მამულო, სიცოცხლევ!

### მშვიდობისმყოფელი



სამოდელო სახლის, ანდა, სააგენტოს ბრენდი, გნებავთ, მოდური ჟურნალის სახე რომ იყოს, მას ნამდვილად შეეფერებოდა განსაზღვრება “ლამაზის” სინონიმები: კოხტა, კეკლუცი, ნატიფი, ტურფა (რამდენიმე სხვაც, შედარებით ნაკლებად ნაცნობი: სალუქი, უსულიანი, თვალმცეცხლია, მოსხივცისკარე, მწყაზარი...) — მაგრამ ის არც ბრენდია და არც — მოდელი!

მედიცინის მუშაკად — ექიმად, ანდა, მის თანაშემწედ (ექთანი = ექ+თან!) რომ წარმოვიდგინოთ, მას ნამდვილად დამშვენდებოდა ელიტკლინიკის ლოგოთი გაწყობილი ქათქათა ხალათი, ზედაც ფონეიდოსკოპი — მაგრამ არც ერთია და არც — მეორე.

სკოლის დაწყებითი კლასების ახალბედა პედაგოგად რომ შებრძანდეს გაკვეთილზე პირველკლასელებთან, ისინი დანახვისთანავე შეიყვარებდნენ სახესხივოსან მოღიმილე მასწავლებელს!

თანამედროვე ესტრადის მომღერალ-შემსრულებელი, ანდა, კინომსახიობი? — არა, იგი არც პირველი გახლავთ და არც — მეორე! თუმცა, ასეთი როლებიც, დასტურ, გამოუვიდოდა!

მარიამ ხაჩირაშვილი ქართული არმიის ოფიცერია!

სულ ახლახან, სექტემბრის პირველ დღეს, საქართველოს თავდაცვის ძალების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მეთაურმა კასპში დაურეკა მობილური ტელეფონის ნომერზე:

— კაპიტანო ხაჩირაშვილო!..

— გისმენთ, ბატონო ბრიგადის გენერალო! მაგრამ... მე...

— არავითარი “მაგრამ”... თქვენ მოგენიჭათ მორიგი სამხედრო წოდება “კაპიტანი”. ასე რომ, გილოცავთ!



მაშ, ასე: მარიამ ხაჩირაშვილი 2021 წლის პირველი სექტემბრიდან ქართული არმიის კაპიტანია!!!

გაიცანით: მან 2012 წელს დაამთავრა ქ. კასპის №4 საჯარო სკოლა, 2016 წელს — საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია (ოფიცრის პირველადი წოდებით “ლეიტენანტი”), შემდგომში გაიარა უმცროს მეთაურთა მომზადების კურსი ლოჯისტიკის მიმართულებით, ხოლო 2018-ში მიენიჭა წოდება “უფროსი ლეიტენანტი”. და, აი, აგერ, 27 წლის ასაკში (მარიამი მერწყულია) კაპიტნობა!

ვინ-ვინ და სწორედ მან — მშვიდობისმყოფელმა ქალმა-ოფიცერმა, ზედმიწევნით იცის დღევანდელობისათვის ფრიად აუცილებელი მშვიდობიანობის ფასი და მისი უწინარესი მნიშვნელობა “დენთის კასრზე” დაყურსული აგრესიული და აღრეული მსოფლიოსათვის.

იგი გახლავთ იმ ქართული სამხედრო დანაყოფის “სუსტი სქესის” ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელმაც 2021 წლის ზაფხულში უკანასკნელად დატოვა თალიბური ავღანეთი, სამშვიდობო საერთაშორისო მისიის ფარგლებში.

მარიამი შვილი და ძმისწულია კასპელი (იგოეთელი) ძმები ხაჩირაშვილებისა, ვინც საქართველოსათვის ძნელბედობის ჟამს — 1992-93 წლებში — იბრძოდნენ და მსახურობდნენ საქართველოს ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონში.

მშვიდობა და კარიერული შემდგომი წინსვლა, კაპიტანო ხაჩირაშვილო!

## ქველმოქმედება

### მადლიანი სხვა სიკეთისა!

დასტურ, უეჭველია, სიკეთე გახლავთ კაცი-მოკვდავისა და ძე-მამისას კეთილი ნება.

და მისი გაცემაც მხოლოდ კეთილმოწყალე და გულკეთილ ადამიანებს ძალუძთ, ხელეწიფებათ, სჩვევიათ, ახასიათებთ.

აი, საამისოდ კი, ანუ, საქმნელად, მათთვის უნდა არსებობდეს საშუალება.

კარგად ვხედავთ, ვუწყით კიდეც, რომ ჩვენ გარშემო ბევრს გააჩნია საშუალებაცა და ქონებაც, მაგრამ, ვაგლახად, ღარიბნი არიან ნებელობით. ამიტომ



კეთილკაცებად მარტოოდენ ისინი ვაღიაროთ, ვისი შინაგანი ნებაც მოტივირდება თანაგრძნობითა და სიყვარულით.

ანუ — პიროვნება მაშინაა მწყალობელი, კეთილზნიანი, წილგამცემი, როცა იგი სხვას ეხმარება — მოყვასს, ნაცნობ-უცნობს, თანაქალაქელს, შიდასოფლელს, კარის მეზობელს, გაღმაუბნელს...

როცა იგი მსახურობს საზოგადოებასა (ზოგადად) და მის რიგით წარმომადგენლობას (კონკრეტულად), საკუთარი კარნახისმიერი ქმედებით ჩამდენია სიკეთისა და ამას აღასრულებს, ქმედითუნარიანობს სრულიად გააზრებულად, შეგნებულად, ამასთან — 



უანგარიშოდ, უანგაროდ და, მეტიც, სურს დამსხვრევა და მოშლა ძველანდაზური პოსტულატისა — სიკეთისათვის სიკეთე არავის უქნიაო!

ამდენად, ასეთი კაცნი პიროვნულად, როგორადაც კეთილმყოფელნი, კეთილზნიანნი და კეთილნებიერნი, მაღლდებიან ეთიკურ კატეგორიაზე, ზნეობრივი ცხოვრების ცნებაზე (თუნდაც ჯიბრზე საპირისპირო ცნებისა, ანუ, ანტონიმისა — ბოროტებისა).

ჩვენდა გულსაბუნად გასახარია, რომ პატარა კასპში გვყავს და გვხვდებიან თანაქალაქელები, ვისაც პირადული საშუალებაც გააჩნიათ და საკუთარ კეთილ ნებასაც მიჰყვებიან სიკეთის გასაცემად.

ამჯერად ერთ-ერთ მათგანზე მოგახსენებთ:

ქ. კასპში მცხოვრები ბიზნესმენი ზურაბ კავაზაშვილი ახლახან, აგვისტოში, მარიამობის საუფლო დღესასწაულთან დაკავშირებით, საქველმოქმედო ქმედების ფარგლებში, თანაქალაქელ 20 მრავალშვილიან და შეჭირვებულ ოჯახს ეწვია.

ახალგაზრდა დედებს პირადად მიულოცა წმინდა საეკლესიო თარიღი, პატარები დაულოცა და, ამასთან, ყველას გარკვეული თანხა ჩამოურიგა.

აქვე, აბა, როგორ არ წარმოვაჩინოთ ამავე ახალგაზრდა ქველმოქმედისა და მეოხის წინარე კეთილსაქმეც, წლევანდელი მაისის აღდგომისას რომ მოიმოქმედა.

10 ხელმოკლე და სოციალურად დაუცველი ოჯახის საჭიროებას შეეხიდა მატერიალურად, საკუთარი გულის სითბო დაუტოვა მათ ეზოებსა და ოთახებში მოჟღურტულე ნორჩებს და ყველას თვალებში გააბრწყინა სიხარულისა და ბედნიერების სხივები, ააკიაფა ვარსკვლავური ნაპერწკლები. ნამდვილად, რა ცოტა ყოფნის ყმაწვილობას, მეშვიდე ცაზე ასაფრენად!

ღმერთო მაღალო, კაცთა-კეთილთა გამჩენ-დამრჩენო! ამნაირ კაცებს ნუ დაღლი სიკეთის ხვეჭით! ნურც — სიკეთის გაცემით! მათ პირველი დაიმსახურეს და მეორე წესად გაიხადეს. მათ უკვე სცადეს კეთილკაცობის წესით ცხოვრება და ესოდენ აღმატებულ გზაზე ჰპოვეს კმაყოფილება საკუთარი გულის, სულისა და გონისა.

აკი, ჩვენებური კაცის ნათქვამია: — კეთილი საქმე ადამიანის სულის მკურნალიაო! ვიგულისხმოთ, რომ ასეა ორივე მხარისათვის, ანუ, სიკეთის გამცემისთვისაც, მიმღებისთვისაც!

## გილოცავთ!

შორენა ობგაძე-გორგიშელს გულითადად ვულოცავ საიუბილეო დაბადების დღეს! ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხან სიცოცხლეს საყვარელ ოჯახთან ერთად.

ნანი ღვინიაშვილი.

ჩემს საყვარელ პედაგოგებს მაია დაბრუნდაშვილს, ნინო ალაპიშვილს, ნუნუ ბერიძეს, ეკა გურგენიძეს, მზია ბერძენიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს!

კარგია, რომ ჩვენი შვილების განათლებას ემსახურებით! გისურვებთ წარმატებულ შრომას და იღბლიან ცხოვრებას!

ნანა.



## ხსოვნა



### ოთო სულაშვილი

ჩვენო ძმაო და მეგობარო! ოთო! — 28 აგვისტოს ჩვენთვის მოულოდნელი იყო შენი ამ ქვეყნიდან წასვლა. დრო მკურნალიაო, ეს ტყუილია, არ ყოფილა მართალი, ვერაფერი მოგვიშუშებს შენით მიყენებულ ტკივილს. ჩვენ ვამაყობთ შენი დატოვებული სახელით კაიკაცობისა და მეგობრობის, სიყვარულის ეტალონო ადამიანო.

წახვედი მარადისობაში და დაგვიტოვე სითბო და სიყვარული. ვიხსენებთ შენთან დაკავშირებულ მოგონებებს, შენს საყვარელ სადღეგრძელოს — ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოსო. ის პატარა ღმერთი, სინდისს რომ ეძახიან, თუ ვინმეს ეთქმოდა, პირველ რიგში შენ გეთქმოდა.

ადამიანისათვის ღვთითბოძებული მადლი ქვეყნად სიკეთის კეთება, მოყვასისა და მამულისათვის დაუზოგავი, თავდადებული და უანგარო საქმიანობაა. ასეთი ხვედრი კი მხოლოდ გამორჩეული ადამიანების კუთვნილებაა, შენ იყავი ასეთი. ყოველთვის მაგალითს გვაძლევდი იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანის გვერდში მდგომი კაცი. ამიტომაც დაიმსახურე სიყვარული და პატივისცემა შენს მეგობრებში.

ღმერთს შევთხოვთ, თაფლის სანთლებით, კელაპტრებით დანთებული სინათლით გაგიკვალოს სავალი გზა სასუფევლამდე, სადაც წმინდანებთან ერთად დაივანებ.

მეგობრები.

## გამოსათხოვარი

# ვაჟა შაქარაშვილი

ვაჟა გიორგის ძე შაქარაშვილი დაიბადა ქ. გორში 1958 წლის 5 მაისს. 1975 წელს დაამთავრა ქ. კასპის №2 საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, იგი გახლდათ ამავე ინსტიტუტის სტიპენდიანტი. 1980 წელს დაასრულა აღნიშნული ინსტიტუტი და გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი (ისტორიის სპეციალობით).

სხვადასხვა წლებში იგი მუშაობდა რიგ უმაღლეს დაწესებულებებში პედაგოგად, მათ შორის ერთ-ერთ მათგანში პრორექტორის თანამდებობაზე; საქართველოს ტელევიზიაში (1982-1985) რედაქტორად; გახლდათ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის კონსულტანტი; ჟურნალ "ნიანგის" კორესპონდენტი; გაზეთების "შავი დოსიე" და "ვერსია" — მთავარი რედაქტორის მოადგილე; გაზეთების "კრიმინალური ქრონიკა" და "სრულიად არასაიდუმლოდ", "სვობოდნაია გრუზია" შიდა ქართლის ბიუროს თავმჯდომარე (1991-1998) რედაქტორად; ის არის 1000-ზე მეტი საგაზეთო პუბლიკაციისა და ათეულობით სატელევიზიო საავტორო გადაცემის, მათ შორის ტელეფილმის "პიმენ დვალი" ავტორი.

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს წლების მანძილზე იმყოფებოდა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, საიდანაც მოვლენათა ეპიცენტრიდან სისტემატურად აწვდიდა მასალებს ქართულ მედია საშუალებებს.

ჰქონდა უმაღლესი იურიდიული განათლება.

წლების მანძილზე მოღვაწეობდა ქ. გორის პროფესორ სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტად, რა დროსაც მის მიერ განხორციელებული არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი წარედგინა ქართულ საზოგადოებას. იგი გახლდათ ავტორი რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა, კვლევითი ხასიათის პუბლიკაციებისა, სამუზეუმო გამოცემებისა. მისი თაოსნობით განმტკიცდა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირები საჯარო სკოლებთან და რიგ სასწავლო დაწესებულებებთან, გაიზარდა ვიზიტორთა ინტერესი მუზეუმისა და ეროვნული კულტურისადმი.



ვაჟა შაქარაშვილი გახლდათ 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

გარდაცვალებამდე იგი მუშაობდა ქ. გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის ხელშეწყობის სააგენტოს მწერალთა სახლში შემოქმედებითი და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორად. მისი თაოსნობით ამ მიმართულებით მომზადდა და ქართულ საზოგადოებას წარედგინა არაერთი პროექტი, რამაც ერთიორად გაზარდა კულტურული კავშირები სოციუმთან, მით უფრო, ახალგაზრდობასთან. აღსანიშნავია, რომ მისი ინიციატივით განხორციელდა რამდენიმე პროექტი საზღვრისპირა სოფლებში, რომლის მიზანიც იყო ჩატეხილი ხიდის აღდგენა ქართველებსა და ოსებს შორის.

ვაჟა შაქარაშვილი იყო საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; ლიტერატორთა და ხელოვანთა გამგეობის წევრი.

იგი ათწლეულების მანძილზე ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას, გამოქვეყნებული აქვს სამ ათეულზე მეტი წიგნი: "ღვთის კარნახით სულიერი განწმენდისაკენ", "მივიწყებული მკვლელობის ქრონიკა", "მწვერვალი", "ცივი ხელებით ყვავილს ვერ დახატავ", "ზღუდეთ რჯულისა" და სხვა.

ვაჟა შაქარაშვილის ავტორობით გამოქვეყნებულმა წიგნებმა სახელწოდებით "მესამე რაიხის ტყვე ჯარისკაცები გორში" და "არა არს ღმერთი შფოთისაი" მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართულ-გერმანული კულტურული კავშირების, ორ ხალხს შორის მეგობრობის განმტკიცებას. აღნიშნულ თემაზე გადაღებულ იქნა დოკუმენტური ფილმი...

ვაჟა შაქარაშვილის მიერ მომზადდა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს განსახილველად გადაეცა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს დიდი სამამულო ომისა და მის შემდგომ წლებში, გორში მყოფ გერმანელ ტყვეთა მიერ შექმნილ შენობა-ნაგებობათა რეაბილიტაციასა და დაცვას, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად ცნობას.

ვაჟა შაქარაშვილს საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ საპატიო წოდება "ღვაწლმოსილი" და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია მიანიჭა. საქართველოს პედაგოგთა კავშირმა იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლით, საპატიო სიგელით დააჯილდოვა, ხოლო საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირმა წიგნისათვის — "შენთვის საქართველო" კავშირის საპატიო წევრად აირჩია.

2019 წელს ვაჟა შაქარაშვილს მიენიჭა ქ. გორის საპატიო მოქალაქის წოდება, ხოლო სულ ახლახანს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა მიანიჭა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია.

---

ბევრი, ძალიან ბევრი ძვირფასი ადამიანი იმსხვერპლა ვერაგმა სენმა... და არა მხოლოდ საქართველოში, მთელ პლანეტა დედამიწაზე...

ჩვენს პატარა ქალაქს შენი ყრმობაც ახსოვს, სიჭაბუკეც, დაოჯახებაც და საინტერესო წიგნების ავტორობაც, ძმაო...

კასპის მე-2 სკოლის დამთავრებისთანავე ეზიარე სტუდენტობის სიხარულს. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი წარჩინებით დაასრულე... მეორე ოჯახად გექცა ამორჩეული სასწავლებელი. აქ გაიფურჩქნა შენი ფარული ნიჭი — მწერლის და ჟურნალისტის... დიდი ინტერესით შეისწავლე საქართველოში გერმანელ ტყვეთა ცხოვრების ნაკლებად ცნობილი ფაქტები და წიგნებად შესთავაზე მკითხველს... შიდა ქართლის და გორის ისტორიული წარსულიც გამოიკვლიე და გაგვიცოცხლე... მხოლოდ სათაურებიც კი მეტყველებს შენს მრავალმხრივ ინტერესებზე — თითქმის ყველა შენი ნაკალმევია დაფიქსირებული სოცქსელში...

წელს, 5 მაისს მხოლოდ 63 წელი შეგისრულდა... ჩქარობდი, საპენსიო ასაკამდე კიდევ ბევრის მოსწრებას გეგმავდი... გული მწყდება, რომ ვერც შენი გიორგის და ვერც მარიამის შვილებს ემახსოვრებათ შენი დიდი სითბო!.. კარგი შვილი და კარგი ძმა იყავი, ძვირფასო!.. მოულოდნელად იქეცი წინაპრად ისე, რომ ვერ მოეფერე შთამომავლობას... 22 აგვისტოს შეწყდა შენი ცხელი გულის ფეთქვა. რა მძიმე ტვირთი დაუტოვე დაქვრივებულ მეუღლე ნატოს!. სიცოცხლის მე-9 ათეული მიითვალა დედამ... სამი ინფარქტი დაამარცხა ამ სოლიდურ ასაკში... შენ კი მოულოდნელად უზარმაზარი ელდით დაგვზაფრე მთელი ოჯახი... წახვედი... გაუჩინარდი!.

30 სექტემბერი სამზეოდან შენი წასვლის მე-40 დღეა...

უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი...

და ცირა.

---

გვხდით ჩვენი მკითხველი!

ნანა და გიორგი მერებაშვილები ოჯახით იუწყებიან ნუნუ ქავთარაძე-დაბრუნდაშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ შვილებსა და შვილიშვილებს.

გივი მელაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თეა ბექუაშვილი და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის 2021 წლის 2 აგვისტოდან - არჩევნების დასრულებამდე გამოყოფილია გაზეთის ფართობი.
გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე შეადგენს 3680 სმ$^2$; მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე შეადგენს 1840 სმ$^2$ A 3 ფორმატის ჩანართის ღირებულებაა 368 ლ (1სმ$^2$ 40 თეთრი).

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი
რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააქაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76